საქართველოს ორგანული კანონი

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 110060000.04.001.016256) 34-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად დასანიშნ პირს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა შემდეგ დისციპლინებში: საკონსტიტუციო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის საპროცესო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სასჯელაღსრულებითი სამართალი და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის საფუძვლები.“.

მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, პროკურორად/პროკურატურის გამომძიებლად დასანიშნ პირს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული უნდა ჰქონდეს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, არ ვრცელდება იმ პირზე, რომელსაც აღნიშნული გამოცდა ჩაბარებული აქვს ამ კანონის ამოქმედებამდე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

18 ოქტომბერი 2022 წ.

N1915-IXმს-Xმპ